

**სხდომის ოქმი # 2**

**საქართველოს უზენეს ეროვნული ფედერაციის ცხდომის ოქმი #2**

2016 წლის 18 სექტემბერი 16:30 სთ.

ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქუჩა #6.

**სხდომის თავმჯდომარე:** გიორგი ვერულიძე

**სხდომის მდივანი:** გიორგი რიჟამაძე

**სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის წევრები:** ზაზა თათარაშვილი და ლაშა სუმბულაშვილი.

**სხდომის უფლებამოსილება** განისაზღვრა სუფე-ის 4 გამგეობის წევრის დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგით განსახილველი საკითხი:**

- 1) სუფე-ის კალენდარულ შეჯიბრებაზე მოქალაქის მიერ სპონსორის მოძიების შემთხვევაში წამახალისებელი პრემიის მიცემა და ოდენობის განსაზღვრა.

გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

სხდომის თავმჯდომარე- გიორგი ვერულიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხთან დაკავშირებით გამგეობას მოახსენა:

- თუ ფიზიკური პირი სუფე-თვის მოძიების სპონსორს (კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურა) კონკრეტული შეჯიბრებისათვის, რომელიც გათვალისწინებული იქნება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ კალენდარში წახალისებულ იქნას მოძიებული თანხის 20% უკან დაბრუნებით პრემიის სახით.
- რომელიმე კალენდარული შეჯიბრებაზე სპონსორის მოყვანა სიტყვიერად შეთანხმებული უნდა იყოს სუფე-თან. (განპირობებულია იმით, რომ ფედერაცია ნამდვილად გეგმავს იმ შეჯიბრის ჩატარებას თუ არა)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს დათო თათარაშვილმა და ლაშა სუმბულაშვილმა.

გიორგი რიჯამაძემ აზრი გამოთქვა და აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დიდი მოტივაცია იქნებოდა დაინტერესებული პირისათვის და ხელს შეუწყობს უშუს განვითარებას.

საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის გამგეობამ ერთხმად მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.


გიორგი ვერულიძემ მადლობა გადაუხადა გამგეობის წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე:

გიორგი ვერულიძე

სხდომის მდივანი:

გიორგი რიჯამაძე

Handwritten signatures in blue ink. The top signature is for Giorgi Verulidze, and the bottom signature is for Giorgi Rijamadze. The signatures are written over the printed names.